503 ✓ 10166

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 თებერვალი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 23 (9684) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ერთგული მხიბლველობა

სურათებზე: ილეთს ატარებს ლერი ხაბელოვი; დავით გობეჯიშვილი (მარჯვნივ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ვის როგორ შეეძლო

ახლა მუდამ, ფინალებისკენ რომ მიდის საქმე შეხვედრები უინტერესო, უფრო სწორად სანახაობრივად ნაკლებად ეფექტური ხდება, მაგრამ გამონაკლისი ამ წესსაც აქვს და იგი მეტწილად, ორთაბრძოლის ხასიათზე, მის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული.

52 კგ-წონით კატეგორიაში მეოთხე წრის შეხვედრას ანატოლი ბელოგლაზოვსა და ბურაბ ტატუაშვილს შორის ფაქტიურად ერთ-ერთი ფინალისტი უნდა დაესახელებინა. გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობის სურვილი, ცხადია, ორთავე მოჭიდავეს ჰქონდა. ბურაბ ტატუაშვილს, რომელსაც ბოლო დროს ფატალურად არ წყალობს ბედი, ეს ყველაფერი თავის დამკვიდრებისთვის სჭირდებოდა. ჯერ კიდევ შარშან საკავშირო ჩემპიონატში მას მთავარ ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფავორიტს მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო. არადა, ჩემპიონობის ღირსი იგი უდავოდ იყო.

საბჭოთა კავშირის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი ბელოგლაზოვი, რომელიც ახლა 31 წლისაა, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა სარბიელზე. ამ ხნის განმავლობაში მან რამდენიმე სერიოზული ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში თბილისის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზისთვის საბრძოლველად მაინც მზად იყო.

შეხვედრა, ყოველ შემთხვევაში მისი მეტი ნაწილი, ტატუაშვილის უპირატესობით აღინიშნა. მას ადვილად გადაჰყავდა მეტოქე ჩოქბჯენში და გამარჯვებისთვის საჭირო ქულებს მეთოდურად აგროვებდა. ცხადია, გულხელდაკრეფილი არც ბელოგლაზოვი გახლდათ, მაგრამ ამჯერად იგი უფრო მდევრის როლში გვევლინებოდა.

ბრძოლა თითქმის დამთავრდა. ტატუაშვილი წინ იყო ანგარიშით 6:4, მაგრამ... ქართველმა მოჭიდავემ, სწორედ ამ მომენტში (საფინალო სასტვენამდე 20 წამით ადრე) საეპვო შეტევა წამოიწყო და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. არა და სულ პატარა ტექნიკური ეშმაკობა იყო საჭირო, რათა ტატუაშვილს შეენარჩუნებინა 2-ქულიანი სხვაობა (6:4).

ჭიდაობის ახალი წესების თანახმად ბრძოლა გაგრძელდა პირველ ილეთამდე. და ისევ დაუფიქრებელი გადაწყვეტილება, მოუმზადებელი შეტევა ტატუაშვილის მხრიდან. გასაგებია, რომ ქართველ მოჭიდავეს, რომელიც აშკარად გრძნობდა თავის ძალას, ყველაფრის დამთავრება ერთი ხელის მოსმით სურდა, ოღონდ მან მეტოქის გამოცდილება ვერ გაითვალისწინა. ბელოგლაზოვი სწორედ ის მოჭიდავეა, რომელიც ნებისმიერ შეცდომას უმალ იყენებს. მეშვიდე წუთის მიწურულს დაშვებული ერთი უხუსტობა ტატუაშვილისათვის საბედისწერო გამოდგა.

მეოთხე წრის შეხვედრებიდან კიდევ ერთი უნდა გამოვყოთ საგანგებოდ, რომელიც ალბათ ფინალსაც კი დაამშვენებდა. ეს გახლდათ მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის

იხ. მე-4 გვ.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის
პრეტენდენტ ქალთა ტურნირი

დარბაზში მუდამ ხალხმრავლობაა

დიდთოვლობის მიუხედავად წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ ყოველდღე ხალხმრავლობაა. ამის მიზეზი არა მარტო პრეტენდენტ ქალთა მძაფრი და შეუპოვარი ბრძოლებია, არამედ ისიც, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა მაყურებელს ყველა პირობა შეუქმნეს ამ ლამაზი და შინაარსიანი პარტიების სანახავად: ფოიეში მოწყობილია საინტერესო ფოტოგამოფენა, გულშემატკივარს შეუძლია სრული ინფორმაცია მიიღოს პრესცენტრის მუშაკებისგან, რომელთაც საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდი ხელმძღვანელობს. ცნობილი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები ხშირად მართავენ ერთდროული თამაშების სეანსებს, აქვე იყიდება საჭადრაკო ლიტერატურა და სუვენირები. მაყურებელთა განკარგულებაშია კომფორტაბელური კაფე-ბარი...

იხ. მე.2 გვ



აბა თქვენ იცით, პროფესორებო!

გუშინ თბილისში დაიწყო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა, რომელიც სპორტის ექვს სახეობაში იმართება. სპარტაკიადას ატარებს საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო. ასპარეზობაში პირველები ჩაებნენ მოჭადრაკეები და მძლეოსნები. მძლეოსნებმა პროფკავშირების მანეჟში თუ გუშინვე დაამთავრეს შეჯიბრება, მოჭადრაკეთა პაექრობა ჭადრაკის სახახლეში 7 თებერვლამდე გასტანს. დღეს დაიწყება პირველობა მინიფეხბურთში და ფრენბურთში. ფეხბურთელები სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტკომპლექსში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, ფრენბურთელებს კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის და თბილისის უნივერსიტეტის სპორტული დარბაზები უმასპინძლებს. ორივე შეჯიბრება დამთავრდება 7 თებერვალს. 5 და 6 თებერვალს ასპარეზობა გაიმართება ცურვაში (პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი) და ტყვიის სროლაში (უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი). შეჯიბრებები დაიწყება 12 საათზე.

ამ დღეებში თბილისში უხვად მოვიდა თოვლი. გამარჯვების პარკში და მთაწმინდის პლატოზე მსურველებს გამქირავებელი პუნქტი თხილამურებს და ციგებს სთავაზობს. მაგრამ უმეტესობას, განსაკუთრებით მოზარდებს, გუნდაობა, ქათქათა თოვლში ცელქობა ურჩევნია ყველაფერს.

ეს ფოტოხურათები გუშინ გადაიღო თბილისში „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში

ყველა მედალი გათამაშდა, მაგრამ...

ლენინგრადის საციგურაოზე სსრ კავშირის ჩემპიონის ზედიზედ სამი ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ელენა ლაუგამ 5.000 მეტრ დისტანციაზე გამოსვლაზე თავი შეიკავა და კალგარისთვის ძალების შემონახვა არჩია, რამაც ერთბაშად რამდენიმე სპორტსმენს გაუიოლა გზა ოქროს მედლისაკენ. პრეტენდენტთა შორის იყვნენ ამ დისტანციაზე შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული სვერდლოვსკელი ნადეჟდა ეასილიევა, ვერცხლის მედლის მფლობელი სვეტლანა ბოიკო (მოსკოვი), ლენინგრადის საციგურაოს რეკორდსმენი ელენა ტუმანოვა (გორკი), ირინა ბოგატოვა (ნიჟნი-ტაგილი), ლიუდმილა ტიტოვა (ჩელიაბინსკი) და თბილისელი ინგა გილაური.

ასპარეზობაში სულ 22 სპორტსმენი ჩაება. მეორე გარბენში იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ლიუდმილა ტუბეროზოვა (სვერდლოვსკი) და ირინა ბოგატოვა. ირინამ ოხუთმეტწრიანი (თითოეული წრის სიგრძე 333 მ.) დისტანციის ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა — 7.52,24. სხვებისთვის ეს შედეგი ერთგვარი ორიენტირი გახდა. მეოთხე წყვილის გარბენში იაროსლავლელ ინა კომაროვასთან ერთად ინგა გილაურიც გამოვიდა სტარტზე. ინგა პირველი წრიდანვე ცდილობდა გაესწრო ბოგატოვას რბენის გრაფიკისთვის, მიზანთან თითქოს ახლოც იყო, როცა 11 წრის შემდეგ იგი მხოლოდ 1,5 წამით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ გილაურმა მეტი ვერ შეძლო, ფინიშთან მეორე შედეგით (7.54,29) მიიჭრა, თუმცა იგი ვერცხლის მედლისთვისაც არ აღმოჩნდა საკმარისი. ბოლოსწინა, მეთერთმეტე წყვილში მოასპარეზე მოსკოველმა სვეტლანა ბოიკომ 5 ათასი მეტრი ყველაზე სწრაფად — 7.48,93 გაირბინა და პირველად დაეუფლა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს. მეორე ადგილზე გავიდა ბოგატოვა, ბრინჯაოს მედლით კი ინგა გილაური დაჯილდოდა.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. მედლების კომპლექტი ხუთივე დისტანციაზე გათამაშდა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 7 თებერვალს კალგარში გაემგზავრება. მიზეზი ის გახლავთ, რომ ლენინგრადის საციგურაოზე მარტო ელენა ლაუგამ შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი და ისიც მხოლოდ 1500-მეტრიან დისტანციაზე.

ვაჟა ფანელია,
„ლელოს“ სპეც. კორ. ტელეფონით.
ლენინგრადი.

საქართველოს თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში

პარალელური საზეები

საქართველოს ბატუტისტთა ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში ერთი ნიშანდობლივი სურათი მეღავნდება. ყველა საპრიზო და „მიმდებარე“ ადგილებს თბილისელები, უფრო კონკრეტულად, ერთად მოვარჯიშე ბატუტისტთა ჯგუფის წევრები იკავებენ. ეს ტრადიცია არც საქართველოს თასის გათამაშებაში დარღვეულა. თბილისელთა და სხვა ქალაქების წარმომადგენელთა ინტერესები, პარალელური ზაზებისა არ იყოს, ჯერჯერობით არსად იკვეთება და ეს ალბათ არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი. ასე რომ, როდესაც საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებზე ვსაუბრობთ, იგულისხმება, რომ ყველა მათგანი თბილისში ვარჯიშობს. იგივე ითქმის მწვრთნელებზე — თენგიზ ხუდოევი, ზაურ სულაშვილი და ევრაპილ გალჩევი — აი, ის ერთად მომუშავე აღმზრდელთა საპეული, რომელთა შრომას უნდა ვუმადლოდეთ ქართველი ბატუტისტების წარმატებებს...

ინდივიდუალურ ხტომებში ქალთა შორის გამარჯვებულმა რუსუდან ხოფერიამ (103,1) მთელი ათი ქულით გასწრო მეორე ადგილზე გასულ ნინო შერმადინს (93,6), რომელმაც, თავის მხრივ, საგრძნობლად ჩამოიტოვა მესამე პრიზიორი ინა წიკლაური (89,9). ლიდერთა დავაში კორექტივის შეტანა შეეძლოთ ანა დოღონაძეს და ლია ბენდიანიშვილს, მაგრამ მათ მთელი ყურადღება სინქრონულ ხტომებზე გადაიტანეს (სულ მალე გოგონებს საკავშირო თასის გათამაშებაში სინქრონულ ხტომებში მოუწევთ გამოსვლა). დოღონაძემ და ბენდიანიშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის უბრძოლველად მოიპოვეს თასი — 42,8 ქულა დაგროვეს. მათ 13-ზე მეტი ქულით ჩამორჩნენ ვერცხლის მედლის მფლობელები ინგა მენთეშაშვილი და სვეტლანა გულიაევა — (29,3). მესამე ადგილზე გავიდნენ ირინა მიხაილოვა და თამარ სუსუნიაშვილი (22,2). აღსანიშნავია, რომ საპრიზო ადგილების პრეტენდენტებმა ნინო შერმადინმა და ინა წიკლაურმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს და ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში ახალი, გართულებული პროგრამა წარმოადგინა ზაზა აბრამიშვილმა. მან კარგად გაართვა თავი „პრემიერას“ და ქულათა სოლიდური მარაგით (94,7) გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა არამ საკიანი (89,5), მესამეზე — ზაალ ხიზანიშვილი (88,9).

დიდ ინტერესს იწვევდა სინქრონულ ხტომებში გასული წლის საქართველოს ჩემპიონების გიორგი გაგუა-რეზო ხარატიშვილის წყვილის გამოსვლა. საქმე ისაა, რომ ზაზა აბრამიშვილმა და არამ საკიანმა შარშან უაღრესად „არასინქრონულად“ ივარჯიშეს და ჩემპიონობა დებიუტანტებს დაუთმეს. ამ შეჯიბრებაში ისტორია აღარ განმეორებულა. როგორც ჩანს, აბრამიშვილისა და საკიანისთვის განვლილი ორი თვე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთმანეთისთვის „გაეგოთ“. ამჯერად მათ უმნიშვნელო შეცდომები დაუშვეს და როგორც ყველა პირველ ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა, მათაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს (39,1). მეორე ადგილზე გავიდა ზურაბ ბიჩენოვ-რევაზ კანდელაკის წყვილი (33,3). მესამე ადგილი დაიკავეს ზაალ ხიზანიშვილმა და გიორგი კაპანაძემ (33,0). რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონებს გაგუასა და ხარატიშვილს, ისინი სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ მესამე ადგილზე იყვნენ, მაგრამ ფინალში სუსტად გამოვიდნენ და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

გუნდური პირველი ადგილი 530 ქულით მოიპოვა თბილისის I გუნდმა, მეორე ადგილზე 133,7 ქულით ქუთაისელი ბატუტისტები გავიდნენ. 119,0 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა. მეოთხე და მომდევნო ადგილები არავის ერგო იმ უბრალო მიზეზით, რომ მხოლოდ სამი გუნდი მონაწილეობდა.

აი, რა გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ზაურ სულაშვილმა:

— ბატუტისტთა ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თავიანთი შესაძლებლობებით ლიდერები აშკარად აღემატებიან დანარჩენებს. შეჯიბრებაზე ჩვენი ყველა ძლიერი ბატუტისტი გამოვიდა საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრის მიხეილ პელივანიდისის გარდა, იგი ავადმყოფობს და ალბათ ერთ თვეში დაიწყებს ვარჯიშს. ცხადია, მიხეილი ვერ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენი ათი ბატუტზე მხტომელი მიიღებს მონაწილეობას. ამდენი სპორტსმენის გამოყვანის უფლება გვაქვს თანახმად დებულებისა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საკავშირო შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს. მოგეხსენებათ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოსა და შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში, რომელიც წელს გაიმართა, ჩვენმა ბატუტისტებმა, შესაბამისად, შვიდი და სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს. დღევანდელმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრების წევრები კარგად არიან მომზადებული. ვეცდებით საკავშირო თასის გათამაშებაში საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლოთ.

ჯემალ კასრაძე.

რუსუდან ხოფერია.

ზაზა აბრამიშვილი და არამ საკიანი.

ავტორის ფოტოები.

დარბაზში მუდამ ხალხმრავლობა

დასასრული

III ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნანა იოსელიანმა. მან, როგორც ჩანს, სწორად შეაფასა წინა ტურში დამარცხების მიზეზები და ამ დღეს სრული მობილიზებით შეუტია პოლონეთის ჩემპიონ აგნიეშკა ბრუსტმანს. ნანამ ეფექტურად დალაშქრა შეტოქის მეფის ფრთა და საბოლოოდ ლამაზ გამარჯვებას მიაღწია.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ნანა ალექსანდრიას შესახებ. იოსელიანისგან განსხვავებით, მან ეტყობა დროულად ვერ შეძლო მობილიზება წინა ტურის მარცხის შემდეგ და მეტად შებოჭილად თამაშობდა. მართალია, ალექსანდრიამ დებიუტში პერსპექტიული პოზიცია მიიღო ლვოველი დიდოსტატის მარტა ლიტინსკაიას წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გამოიყენა მეტოქის შეცდომა — მეფის ცენტრში დაყოვნება, შემდეგ თვითონაც შეცდა და უხარისხოდ დარჩა. ლიტინსკაიამ ენერგიულად ჩაატარა პარტიის დასკვნითი ნაწილი და ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა.

უაღრესად მწვავედ მიმდინარეობდა ქეთევან არახამიასა და ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრა. პირველი თექვსმეტი სვლა კასპაროვ-კარპოვის ამასწინანდელი მატჩის ერთ-ერთ პარტიას დაემთხვა. დაფიდან სწრაფად „გაქრა“ ლაზიერები და ბრძოლამ რთულ ენდშპილში გადაინაცვლა. ახალგაზრდა დიდოსტატი თანდათან გარკვეულ უპირატესობას დაეუფლა და პაიკი მოიგო, თუმცა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა საუცხოოდ გამოიყენა თავისი ორი კუს ძალა და კარგა ხანს მეტოქეს უპირატესობის რეალიზების საშუალება არ მისცა. პრესცენტრში შეიქმნა საერთო აზრი, რომ ეს პარტია ყაიმით დამთავრდებოდა, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილმა იჩქარა, არასაიმედო გზას დაადგა და მისი მეფე განსაცდელში აღმოჩნდა. პარტია გადაიდო; მეორე დღეს, თამაშის განახლებისას, არახამიამ სულ რამდენიმე სვლაში შეძლო თავისი საგრძნობი უპირატესობის რეალიზება.

არანაკლებ დაძაბულად მიმდინარეობდა ლენინგრადელი ირინა ლევიტინასა და თბილისელი ელენა ახმილოვსკაიას შეხვედრა. რთული შეხლა-შემოხლის შემდეგ დაფაზე თითქმის თანაბარი პოზიცია წარმოიშვა და მეტოქეებმა დაზავება ამჯობინეს.

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს მარტა ლიტინსკაია — 3 ქულა. 2-2 ქულა მოაგროვეს ახმილოვსკაიამ და ლევიტინამ, 1,5-1,5 — გაფრინდაშვილმა, იოსელიანმა და არახამიამ. ალექსანდრიას ჯერჯერობით ნახევარი ქულა აქვს. ვერც ერთი ქულის აღება ვერ შეძლო ბრუსტმანმა.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

წყალტუბო.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

გაიმართა მეოთხე ტურის პარტიები: ალექსანდრია-გაფრინდაშვილი — 1:0, ლიტინსკაია-ლევიტინა — 1:0, ბრუსტმანი-არახამია — 1:0. იოსელიანი-ახმილოვსკაიას პარტია გადაიდო. არახამიამ მესამე ტურის გადადებული პარტია მოუგო გაფრინდაშვილს. 4 ქულით კვლავ ლიტინსკაია ლიდერობს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲑᲔᲒᲔᲜᲐᲙᲝᲠᲨᲘ ორ წრედ მიმდინარეობდა რაიონის პირველობა ფეხბურთში. მასში მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 18 გუნდმა, შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, მაყურებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თამაშებისადმი.

რაიონის ჩემპიონის სახელი სოფელ ნაჯახაოს „ჯიხას“ მეურნეობის გუნდმა მოიპოვა. (მეურნეობის დირექტორი კ. სულავა, მეთოდისტი მ. დანელია). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ხუნწის „ბინური“ და დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი „მამული“.

თამაზ ᲥᲐᲓᲐᲠᲘᲐ.

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ



ᲖᲘᲐ ᲒᲐᲮᲢᲐᲫᲔ

ᲪᲣᲠᲕᲐ

დაიბადა 1973 წელს თბილისში. სიმაღლე 172 სმ. წონა 58 კგ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლის X კლასის წარჩინებული მოსწავლე. ცურვაში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს, დღემდე ვარჯიშობს ელენე ზაქარეიშვილთან. სპორტის ოსტატობის კანდიდატი. საქართველოსა და სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი. 400 მ. კომპლექსურ ცურვაში 1987 წელს ფხენიანის ტურნირის „დრუუბას“ III პრიზიორი, ამავე დისტანციაზე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე საკავშირო შეჯიბრებაში დაიკავა მეორე ადგილი, 200 მ. ბატერფლაით ცურვაში კი მესამე იყო. ამჟამად სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად გდრ-ში ემზადება სსრ კავშირ—გდრ-ის მატჩისთვის.

სსრ კავშირის თასის გათამაშება ბიატლონში

კალგარის ერთი საგზური

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება ბიატლონში. საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება 20 კილომეტრზე, რომელშიც 35 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველასათვის მოულოდნელად გამარჯვება ლენინგრადელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 21 წლის ვლადიმერ დრაჩოვმა მოიპოვა — 1:03.04,8 (0 საჯარიმო წუთი).

— ბაკურიანში მეორედ ჩამოვედი,—გვითხრა ახალმა ჩემპიონმა. — სამი წელია ქვეყნის ნაკრებში გამოვდივარ — აქედან ორი წელი ალგარის ნაკრებში ვიყავი. მიხარია, რომ კალგარის საგზური გავინაღდე.

მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სვერდლოვსკელი სპორტსმენები — ალექსანდრე პოპოვი (1:03.05,4) და ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ჩემპიონი ესტაფეტაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იური კაშკაროვი — 1:05.30,0. დღეს ბიატლონისტები 10-კილომეტრიან დისტანციაზე იასპარეზებენ.

სოფიკო ᲔᲗᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„ლელოს“ კორ. (ტელეფონით).

რესპუბლიკური შესარჩევი

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ოთხი პრიზიორი I ლიგის საგზურებს მიიღებს. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ეწყობა. დღეისათვის 5 ტურია ნათამაშევი. 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ რამაზ ბაღათურია და სერგო მინასიანი (ორივე — აფხაზეთი).

ᲑᲔᲥᲐᲜ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

„ᲒᲐᲠᲐᲥᲔᲑᲘ, ᲒᲐᲠᲐᲥᲔᲑᲘ!“

„ლელოს“ 1987 წლის 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ საგანგაშო წერილის „გარაჟები, გარაჟები“! საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ჯერ კიდევ 1985 წლის 15 მაისს, მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა ავტოსადგომების მშენებლობის საქალაქო კომისიის წინაშე დასვა საკითხი ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონის II კვარტლის VII კორპუსთან გარაჟების მშენებლობის შესაძლებლობის თაობაზე.

აღნიშნული საკითხის ადგილზე შესწავლის შემდეგ კომისიამ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა გარაჟების გადახურვისა და სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, 1986 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით რაისაბჭოს აღმასკომმა დაკომპლექტა გარაჟების სამშენებლო კოოპერატივი და პროექტი მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოს შეუთანხმა, რაც გაფორმებული იქნა მთავარი არქიტექტორის ბრძანებით (08.04.87 წ. № 100), რომელშიც ნათქვამია: „რაითვალოს შეთანხმებულად ქ. თბილისში, ორჯონიკიძის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის II მიკრორაიონის II კვარტლის № 7 კორპუსის აღმოსავლეთ მხარეს საცხოვრებელ კორპუსსა და წყალსადენის რეზერვუარების დაცვის ზონას შორის რელიეფში შეჭრით 27 ავტომანქანისათვის კოლექტიური ავტოსადგომისა და ზედ სპორტული მოედნების მოწყობის პროექტი“.

მშენებლობა იმ მიზეზით შეჩერდა, რომ მშენებლებმა თვითნებურად და უხეშად დაარღვიეს პროექტი: საპროექტო ნიშნული არსებული ეზოს დონიდან 6 მეტრის ნაცვლად 8 მეტრზეა, რაც არც ერთ ინსტანციაში არ უოფილა შეთანხმებული.

რაც შეეხება VIII კორპუსის მობინადრეთა თხოვნას, მისი დაკმაყოფილება მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოს შესაძლებლად მიაჩნია (06.11.87 წ. № კოლ — 479 წერილი), რადგან ეზოსა და სპორტული მოედნების ნიშნულს შორის სხვაობა ამის ტექნიკურ გარანტიას იძლევა.

ამჟამად მშენებლობის განახლების საკითხი განხილვის პროცესშია და გაზეთ „ლელოს“ შეწიშვნების გათვალისწინებით მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

Ზ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ,
თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე.

„ნორჩი დინამოელი“ კვლავ პირველია

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე იანვარში ჩატარდა სპორტის დამსახურებული ოსტატის, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტნის შოთა იამანიძის სახელობის პრიზის ტრადიციული გათამაშება. ჭაბუკ ფეხბურთელთა ამ პრესტიჟულ საკავშირო ტურნირზე გაიმარჯვა „ნორჩმა დინამოელმა“ (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე). განვლილი ტურნირის შესახებ ვთხოვეთ ეამბნა ნორჩ დინამოელთა მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს **რევაზ გაგუას:**

— მეჩვიდმეტე წელია რაც ჩვენს რესპუბლიკაში შოთა იამანიძის სახელობის პრიზი თამაშდება. წლევანდელი შეჯიბრებაც (რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 1971-1972 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა) საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, ტურნირში მონაწილეობდნენ ხარკოვის სპორტსკოლა-ინტერნატი, მოსკოვის „სმენა“, მინსკის „დინამო“, კრასნოდარის „ყუბანი“, როსტოვის სპორტსკოლა-ინტერნატის I და II გუნდები და ჩვენი რესპუბლიკის ოთხი წარმომადგენელი — „ავაზა“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, „ნორჩი დინამოელი“ (ყველა — თბილისი) და გაგრის სპორტსკოლა. ეს 10 გუნდი ორ ქვეჯგუფად გაიყო.

თბილისის „ნორჩ დინამოელს“, როგორც წინა ტურნირში გამარჯვებულს, ყველა ფავორიტად მიიჩნევდა. სასტარტო მატჩმა მინსკელ თანაკლუბელებთან შეგვახვედრა. თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ — 5:0. მეორე მატჩში თბილისის „ავაზას“ ვძლიეთ — 2:1. პრინციპული შეხვედრა გვქონდა 1987 წლის საკავშირო გათამაშება „გადასასვლელის“ გამარჯვებულ ხარკოვის ძლიერ გუნდთან, თამაშმა ჩვენი უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ ტერიტორიული უპირატესობის რეალიზება ვერ შევძელით — 1:1. ბოლო შეხვედრა როსტოვის პირველ გუნდთან გვქონდა, როსტოველებმაც მანამდე სამივე მატჩი მოიგეს და ჩვენთან თამაშამდე ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ. ეს მატჩიც დიდი ანგარიშით მოვიგეთ — 4.0. ნახევარფინალის საგზური ჩვენი ქვეჯგუფიდან 7 ქულით ჩვენ და 6 ქულით როსტოვის პირველმა გუნდმა მოიპოვა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრები ალახაძეშიც. აქ ქულათა მაქსიმუმით ნახევარფინალის საგზური გაგრის გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილზე ბურთების უკეთესი შეფარდებით თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა გავიდა.

ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს გაგრის ცენტრალურმა სტადიონმა უმასპინძლა. პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს გაგრისა და როსტოვის პირველი გუნდები შეხვდნენ. გაგრელებმა გაიმარჯვეს (1:0) და ტურნირის პირველი ფინალისტიც გამოვლინდა. მეორე ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე თბილისის ახალგაზრდული საფეხბუროო სკოლის გუნდი იყო. თამაში ჩვენი გამარჯვებით — 2:0 დამთავრდა. „ნორჩი დინამოელი“ მეორე ფინალისტი გახდა.

III-IV ადგილებისთვის მატჩში თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა (სკოლის დირექტორი ვ. ელოშვილი, მწვრთნელი გ. ჩარკვიანი) შეძლო დაემარცხებინა როსტოველი თანატოლები და სპრიზო ადგილს დაეუფლა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ფინალი. შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ჯერი 11-მეტრიან დარტყმებზე მიდგა. აქ უფრო ზუსტი ჩვენი გუნდი გამოდგა, გაიმარჯვა ანგარიშით 4:2 და ზედიზედ მეორედ დაეუფლა სპატიო პრიზს. მეორე ადგილზე გაგრის გუნდი გავიდა (სკოლის დირექტორი გ. სიჟინავა, მწვრთნელი გ. იაშვილი).

დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისათვის. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ნორჩი დინამოელი ს. ბარამიძე დაასახელეს. საუკეთესო მეკარის პრიზი როსტოველ გ. კირიმოვს გადაეცა, საუკეთესო მცველად გაგრელი კ. არგვალიანი მიიჩნიეს, პრიზი საუკეთესო ნახევარმცველისა გ. გოგიაშვილს (გაგრა) გადაეცა. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზით დააჯილდოვეს „ნორჩი დინამოელი“ გ. ხურცილავა (სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ხურცილავას ვაჟი). ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი დინამოელ ა. კიურჯიევს გადასცეს.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, ფეხბურთელებს ყველა პირობა შეუქმნეს დასვენებისა და თამაშების ნორმალურად ჩატარებისთვის. მწვრთნელებისა და ყველა ფეხბურთელის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ მასპინძლებს ასეთი დახვედრისათვის.

ზაზა კახაძე.

• • •

სურათზე: შოთა იამანიძის პრიზის მფლობელი „ნორჩი დინამოელი“. მარცხნივ — მწვრთნელი რ. გაგუა, მარჯვნივ — მწვრთნელი ს. აპრესიანი.

ფეხბურთი **ფეხბურთი**

ჩვენი ფეხბურთის ასიანთა კლუბი

ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში მყარად დამკვიდრდა საუკეთესო ბომბარდირთა კლუბი, რომელსაც გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის, განთქმული ცდკა-ს კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გრიგორი ფედოტოვის სახელი ჰქვია.

ეს კლუბი 1967 წლის 26 ნოემბერს შეიქმნა. კლუბის ჩათვლაში თავიდან მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და ჩვენი ქვეყნის I ნაკრების შემადგენლობაში გატანილი გოლები აღირიცხებოდა, მაგრამ შემდგომში ცხოვრებამ თანდათან მოითხოვა ის, რომ არ შეიძლება ფეხბურთელი ვიწრო ჩარჩოებით შემოიფარგლოს. ამის გამო კლუბის ჩასათვლელ ლიმიტს დაემატა ევროპის საკლუბო ტურნირებში, ოლიმპიური ნაკრების ოფიციალური მატჩების შემადგენლობაში, სსრ კავშირის თასის დასკვნითი ეტაპების მატჩებში (დაწყებული მერვედფინალიდან), აგრეთვე, სეზონის თასზე გატანილი ბურთები. რა თქმა უნდა, თანდათან იზრდებოდა კლუბის წევრთა რიცხვიც. თუ გ. ფედოტოვის კლუბი პირველად მხოლოდ 13 ფეხბურთელს ითვლიდა, ახლა მათი რაოდენობა 45-მდე გაიზარდა, კლუბის სასტარტო ანგარიშზე სულ 1587 გოლი იყო, ახლა კი გატანილი ბურთების რაოდენობამ 5644-ს მიაღწია.

გ. ფედოტოვის კლუბში საკმარისად არიან ქართველი ფეხბურთელებიც: რ. შენგელია, ა. ღოღობერიძე, ზ. კალოევი, ბ. პაიჭაძე, ს. მეტრეველი, გ. ნოდია, დ. ყიფიანი.

კლუბის ერთპიროვნული და აღიარებული ლიდერია კიეველი ო. ბლოხინი, რომლის მიერ გატანილ 302 გოლს უახლოეს მომავალში არავითარი საფრთხე არ ემუქრება. არის ორი ფეხბურთელი (ვ. ფედოტოვი, ლ. ბურიაკი), რომლებმაც ზუსტად ჩასათვლელი ნორმა 100-100 ბურთი გაიტანეს.

ქართველ ფეხბურთელთაგან საუკეთესო ბომბარდირია რ. შენგელია. მან კლუბის ჩათვლაში 156 ბურთი გაიტანა და ახლა მეშვიდე ადგილზე იმყოფება. რ. შენგელიას სულ ერთი ბურთით უსწრებს ე. მარქაროვი. ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელებიდან რ. შენგელიას მაჩვენებელს ჯერჯერობით არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან სპარტაკელ ს. როდიონოვს სადღეისოდ მხოლოდ 115 ბურთი აქვს გატანილი, ხოლო კიევის დინამოელ ო. პროტასოვს — 113. ყველას, ვისაც კი ფეხბურთი გვიყვარს, გვინდა რამაზ შენგელიამ ჯერ არ დატოვოს მწვანე მინდორი, ვინაიდან თუ მან წლეულსაც ისე ითამაშა, როგორც შარშან, რეალური შესაძლებლობა აქვს პირველ სამეულში დაიმკვიდროს ადგილი და გადაასწროს არა მარტო ე. მარქაროვს, არამედ წარსულის ისეთ გამოჩენილ ბომბარდირებსაც, როგორებიც იყვნენ სერგეი სოლოვიოვი, ვალენტინ ივანოვი და ალექსანდრე პონომარიოვი, საამისოდ, ჩვენი აზრით, ღირს ბრძოლა და თავგამოდება.

„ლელოს“ მკითხველები გასული წლის სეზონში ხშირად გვთხოვდნენ გამოგვექვეყნებინა ასიანთა კლუბის სია, მაგრამ ეს ასე იოლი არაა. გ. ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა კლუბი გარკვეული ცენტრალიზებული სისტემით კომპლექტდება, კლუბის შექმნის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორსა და მამამთავარს კ. ესენინს არაერთხელ მოუხდა სხვადასხვაგვარი კორექტივის შეტანა, კერძოდ, კლუბის წევრთა სიის დადგენაში მას აქტიურად ეხმარებოდნენ თბილისელი სტატისტიკოსები აქსელ ვართანიანი და რევაზ შენგელია.

ახალი, 1988 წლის სეზონის ოფიციალურ შეხვედრათა წინ კლუბში 45 ფეხბურთელია. აი, მათი სია:

		სსრკ ნაკრ.	ევროპ. თასები	სსრკ ჩემპ.	სსრკ თასი	სულ
1.	ო. ბლოხინი	44	26	211	21	302
2.	ნ. სიმონიანი	12	—	144	22	179
3.	ა. პონომარიოვი	—	—	152	16	168
4.	ვ. ივანოვი	26	—	124	12	162
5.	ხ. სოლოვიოვი	—	—	143	18	161
6.	ე. მარქაროვი	—	12	129	16	157
7.	რ. შენგელია	10	19	119	8	156
8.	გ. პუხაინოვი	4	4	115	19	142
9.	ე. სტრელცოვი	25	3	100	14	142
10.	გ. ფედოტოვი	—	—	137	9	141
11.	ა. ღოღობერიძე	1	—	127	6	134
12.	ს. სალნიკოვი	11	—	101	22	134
13.	ზ. კალოევი	—	—	116	15	131
14.	ი. გავრილოვი	13	18	91	6	128
15.	კ. ბესკოვი	—	—	106	21	127
16.	ბ. პაიჭაძე	—	—	106	19	125
17.	ო. კოპაეევი	1	—	119	4	124
18.	ვ. ბობროვი	5	—	97	19	121
19.	ვ. ვოროშილოვი	1	—	106	8	115
20.	ს. როდიონოვი	8	16	86	5	115
21.	ა. იაკუბიკი	—	3	105	6	114
22.	ს. მეტრეველი	12	—	84	17	113
23.	ხ. ოგანესიანი	8	2	93	10	113
24.	ვ. გაზაევი	6	7	89	11	113
25.	ო. პროტასოვი	12	4	95	2	113
26.	ა. ბანიშევსკი	19	—	81	11	111
27.	გ. ნოდია	5	5	93	7	110
28.	ნ. დემენტიევი	—	—	91	19	110
29.	ბ. კაზაკოვი	4	—	101	4	109
30.	ა. გრინინი	—	—	89	20	109
31.	ს. ანდრეევი	13	2	82	12	109
32.	გ. კრასნიცკი	1	—	102	3	106
33.	ე. მალოფეევი	6	—	100	—	106
34.	გ. გუსაროვი	4	—	91	11	106
35.	ა. ილინი	16	—	84	6	106
36.	ვ. ნიკოლაევი	—	—	83	23	106
37.	დ. ყიფიანი	9	10	78	9	106
38.	ვ. სტარუხინი	—	3	84	18	105
39.	ფ. ჩერენკოვი	16	10	75	4	105
40.	ბ. აბდურაიმოვი	—	—	95	9	104
41.	ვ. დიომინი	—	—	86	16	102
42.	ვ. კოლოტოვი	22	8	62	10	102
43.	მ. სოკოლოვსკი	—	5	87	10	102
44.	ვ. ფედოტოვი	4	—	92	4	100
45.	ლ. ბურიაკი	10	14	63	13	100

გამოვლინდნენ ის ფეხბურთელებიც, რომლებიც გ. ფედოტოვის ასიანთა კლუბის უახლოესი კანდიდატები არიან. მათ შორის იმყოფებიან ვ. კლემენტიევი (დაბადებული 1956 წელს) — 81 გოლი, გ. კონდრატიევი (1960) — 80, ე. ევტუშენკო (1958) — 74, ი. ბელანოვი (1960) — 74, ა. ზავაროვი (1961)— 72, ი. ქელუდკოვი (1959) — 72, ვ. გრაჩოვი (1956) — 71, ე. ფეხლევანიდი (1960) — 67.

რამაზ შენგელიას პერსპექტივები

ხარკოვის „მეტალისტთან“ შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის მატჩის წინ თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს რამაზ შენგელიას 116 ბურთი ჰქონდა გატანილი და ამ შედეგით X-XI ადგილებს იყოფდა ზ. კალოევთან ერთად. „მეტალისტთან“ მატჩში რ. შენგელიამ „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა და გაუთანაბრდა როსტოველ ვეტერან ფეხბურთელს ო. კოპაევს (119), კლუბის საერთო ჩათვლაში კი, ე. ი. სხვა შეჯიბრებებში გატანილი გოლებით, მან მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

რ. შენგელიას მაჩვენებლები საკავშირო ჩემპიონატებში წლების მიხედვით ასეთია: 1977 წელი — 5 გოლი (24 მატჩი), 1978 წ. — 15 (28), 1979 წ. — 8 (29), 1980 წ. 17 (32), 1981 წ. — 23 (31), 1982 წ. — 16 (26), 1983 წ. — 11 (27), 1984 წ. — 9 (29), 1985 წ. — 6 (22), 1987 წ. — 9 (27).

ამ 119 გოლიდან რ. შენგელიამ 76 თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიტანა, ხოლო დანარჩენები — ჩვენი ქვეყნის 15 ქალაქის სტადიონებზე (მოსკოვი — 12, ლენინგრადი, მინსკი, დონეცკი — 4-4, ერევანი — 3, ალმა-ათა, ბაქო, ტაშკენტი, ოდესა, კრასნოდარი, ხარკოვი — 2-2, ვოროშილოვგრადი, კუიბიშევი, სიმფეროპოლი, კიევი — 1-1). ყველაზე მეტი ბურთი რ. შენგელიამ გაიტანა დონეცკის „შახტიორის“, ხარკოვის „მეტალისტის“, მოსკოვის „სპარტაკის“, ლენინგრადის „ზენიტის“, ოდესის „ჩერნომორეცის“, მინსკის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ კარში. ყველაზე მეტი უსიამოვნება რ. შენგელიამ მიაყენა ხარკოველ ი. სივუხას (8 გატანილი გოლი), სპარტაკელ რ. დასაევსა და კრასნოდარელ ა. ბალახნინს (7-7 გოლი). ჩემპიონატებში გატანილი 119 ბურთიდან რ. შენგელიამ 12 პენალტებით შეასრულა.

ყველაზე შედეგიანად რ. შენგელია თამაშობდა ივნისში და აგვისტოში — 20-20 გოლი, ივლისში — 19 გოლი. მეორე ტაიმებში მან 68 გოლი გაიტანა, ხოლო პირველ ტაიმებში — 51.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ წლევანდელ ჩემპიონატში, აგრეთვე, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, სადაც თბილისის „დინამო“ მეოთხედფინალშია გასული, რამაზ შენგელიას შესაძლებლობა აქვს იმდენად გაიუმჯობესოს მდგომარეობა, რომ პირველ სამეულში მოხვდეს, ეს კი დიდად საჭიროა არა მარტო პირადად მისთვის, არამედ, საერთოდ, ქართული ფეხბურთისთვის.

რევაზ შენგელია,
სტატისტიკოსი.

„ჟოაო აველანჟის თასზე“

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების 75 წლისთავთან დაკავშირებით გაისად ზაფხულში გაიმართება საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „ჟოაო აველანჟის თასი“ ეწოდა. მასში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები. მატჩები გაიმართება რიო-დე-ჟანეიროში, სან-პაულუში, ბელუ-ორიზონტსა და პორტო-ალეგრეში.

ბონეკი, პასარელა, ჟუნიორი

როგორც გამოჩენილმა პოლონელმა ფეხბურთელმა ბონეკმა განაცხადა, წლევანდელი სეზონი იტალიის „რომაში“ მისთვის უკანასკნელია. ბონეკი პოლონეთში დაბრუნდება და მწვრთნელად დაიწყებს მუშაობას.

არგენტინის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, 35 წლის პასარელამ (მილანის „ინტერი“) ჟურნალისტებს უთხრა, რომ ზაფხულიდან ისიც სამშობლოში ბრუნდება და საქმოსნობას მიჰყოფს ხელს. ბრაზილიაში ბრუნდება ჟუნიორიც, რომელიც ახლა „პალმეირასში“ თამაშობს.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების შეთანხმებით 10 თებერვლიდან იწყება ახალი საინტერესო საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა გუნდი, რომელსაც ოდესმე მოუგია „კოპა ლიბერტადორესი“ (სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი). ბრძოლაში ებმებიან „ესტუდიანტესი“, „ინდეპენდიენტე“, „ბოკა ხუნიორსი“, „არჟენტინოს ხუნიორსი“, „რესინგი“, „რივერ პლეიტი“ (ყველა — არგენტინა), „ფლამენგო“, „სანტოსი“, „კრუზეირო“, „გრეშიო“ (ყველა — ბრაზილია), „პენიაროლი“, „ნასიონალი“ (ორივე — ურუგვაი) და „ოლიმპია“ (პარაგვაი).

უძლიერესი სამხრეთ ამერიკაში

სამხრეთ ამერიკის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ამ კონტინენტის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია კარლოს ვალდერამა (კოლუმბია), რომელმაც 56 ხმა მიიღო. მან შორს ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული ტრასანტე (ურუგვაი) — 27 ხმა და პერდიუმო (ურუგვაი)—25 ხმა.

ვის როგორ შეეძლო

დასასრული

ლერი ხაბელოვისა და ამ ტიტულის ყოფილი მფლობელის ამერიკელ ბილ შერის ორთაბრძოლა. საწახაობრივად იგი შესაძლოა არც იყო მომხიბლავი, მაგრამ უაღრესად შეუპოვარმა და მძაფრმა პაექრობამ ჭიდაობის ჭეშმარიტ მცოდნეებს დიდი სიამოვნება მოჰგვარა. თბილისელმა ჩემპიონმა ამ გამარჯვებით ფინალში მონაწილეობა ფაქტიურად გაინაღდა.

ახლა ფინალების შესახებ, მაგრამ წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ეფექტური ილეთები აქ ცოტა იყო.

48 კგ. გლენ მეჯლუმიანი და რაგიფ მამედოვი (ორივე — სსრ კავშირი). მეჯლუმიანს გამოცდილება მეტი აქვს, თუმცა მეტოქეზე ერთი წლით უფრო ახალგაზრდაა. იგი უკვე ორჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, მოგებული აქვს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. მამედოვი ასეთ ტიტულებს, ცხადია, არ ფლობს, მაგრამ უაღრესად შეუპოვარი მებრძოლია.

ეს თვისება მას ბრძოლის პირველ პერიოდში გამოადგა კიდეც, მაგრამ მეჯლუმიანმა შესძლო ზედგამარეობის გათანაბრება და სადღაც შეხვედრის მიწურულში დაწინაურდა. კიდეც. ერთჯულიანი სხვაობა (6:5) გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველი ჩემპიონი სახელი მეჯლუმიანმა მოიპოვა.

52 კგ. ანატოლი ბელოგლაზოვი — ვლადიმერ ტოგუზოვი (ორივე — სსრ კავშირი). აქაც ბრძოლის ბედი ორთადერთმა ქულამ გადაწყვიტა (6:5), რომელიც დიდი გაჭირვების ფასად 21 წლის ტოგუზოვმა მოიპოვა. ამ დამრცხების მიუხედავად, ბელოგლაზოვის ჭიდაობა სამართლიან მოწონებას იმსახურებს. ახალგაზრდა მოჭიდავეებს 31 წლის ვეტერანმა სასარგებლო გაკვეთილი ჩაუტარა.

57 კგ. რუსლან კარაევი — ოსმან ეფენდიევი (ორივე — სსრ კავშირი). გარეგნულად ეს შეხვედრა ყოველგვარ ეფექტს იყო მოკლებული. ორთავე მხარე თავგამოდებით იბრძოდა და გამარჯვება უფრო გამოცდილ კარაევს დარჩა.

62 კგ. სტეპან სარქისიანი — არმენ შარიანი (ორივე — სსრ კავშირი). მეტოქეები თანატოლები არიან, მაგრამ სარქისიანს მეტი გამოცდილება აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი ორჯერ იყო მსოფლიო თასის მფლობელი. ეს უპირატესობა მან მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში მეთოდურად გამოიყენა და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა — 6:0.

68 კგ. აბდულა მაგომედოვი — არტურ მუტალიბოვი (ორივე — სსრ კავშირი). ფინალური შეხვედრა არ შედგა მუტალიბოვის ავადმყოფობის გამო. გამარჯვება მაგომედოვს უბრძოლველად მიეკუთვნა.

74 კგ. კენი მონდეი (აშშ) — ვლადიმერ ძუგუტოვი (სსრ კავშირი). მონდეი ერთადერთი ჭაბუკელი მოჭიდავეა, რომელმაც თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მტკიცე ხასიათი. ამერიკელი ფაქტიურად მთელს შეხვედრას აგებდა (0:1, 0:2, 1:2). მაგრამ ბრძოლის მიწურულს შესამჩნევად გააქტიურდა, მეტოქეს ორქულიანი გადება ჩაუტარა და გამარჯვებასაც [illegible]ალწია — 3:2.

82 კგ. ალექსანდრე ტამბოვცევი—ელმატი ჟაბრაილოვი (ორივე — სსრ კავშირი). ტამბოვცევი ფიზიკურად უფრო ძლიერი ჩანდა, იგი მეტს მოძრაობდა სარბიელზე და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია (3:1).

90 კგ. შამილ აბდურახმანოვი — სანასარ ოჰანესიანი — (ორივე — სსრ კავშირი). მეტოქეებმა თითოჯერ გადაიყვანეს ერთმანეთი ჩოქმჯენში. ეს იყო და ეს. ამ შეხვედრაში მეტი არაფერი გაკეთებულა, დამატებით დროში მსაჯებმა ოჰანესიანი პასიურობისთვის მოხსნეს და გამარჯვება აბდურახმანოვს მიეკუთვნა.

100 კგ. ლერი ხაბელოვი (საქართველო) — აბმედ ატაევი (სსრ კავშირი). მძიმე წონის მოჭიდაველთა ფინალური შეხვედრები, როგორც წესი, ნაკლები აქტიურობით გამოიჩევა. ამჯერად კი პირიქით მოხდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ენერგიულად დაიწყო ბრძოლა და უკვე პირველი პერიოდის შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდა — 4:0. მეორე პერიოდში ხაბელოვია მეტოქე აშკარად პასიურობის გზას დაადგა.. ერთ მომენტში მსაჯები

ამერიკელ კენი მონდეის ეს-ეხაა გადასცეს ქართული ნაბადი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ყოყმანობდნენ კიდეც მოეხსნათ თუ არა ატაევი. მაგრამ უკიდურეს ზომას მხოლოდ იმიტომ არ მიმართეს, რომ სურათი ცხადი იყო და თანაც დრო იწურებოდა. ხაბელოვმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

130 კგ. დავით გობეჯიშვილი (საქართველო) ვიქტორ ზანგიევი (სსრ კავშირი). უკვე ორი წელია, რაც ტალანტელმა ასლან ხადარცევმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებში მტკიცედ დამკვიდრა ადგილი. მსოფლიოს ექსჩემპიონი გობეჯიშვილი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდა შეგებებოდა მისთვის შეუფერებელ მეორეხარისხოვან როლს, ან სარბიელზევე უნდა დაეტკიცებინა, რომ ჯერ კიდევ ძალა შესწევს და ბევრი შეუძლია. სამწუხაროდ, პრეტენდენტი პრინციპული დავა ამჯერად ვერ დაიგო. ნაკრების ხელმძღვანელობამ ხადარცევი გასული წლის მძიმე სეზონის შემდეგ დაასვენა.

მაგრამ გობეჯიშვილმა თავისი სიტყვა თქვა. მისი უნარი და შესაძლებლობები ყველაზე მკაფიოდ სწორედ ფინალურ შეხვედრაში გამოვლინდა.. ამის დასტურია 13 ეპასუხო ქულა, რომელიც ქართველმა მოჭიდავემ ექვსი წუთის განმავლობაში დააგროვა.

ნოდარ გაგუაშვილი.

ორიოდე სიტყვა გამარჯვებულებზე

თბილისის საერთაშორისო ტურნირში წლეულს შვიდი ახალი ჩემპიონია, ამათგან ექვსმა უმაღლესი ტიტული პირველად მოიპოვა. გამარჯვებულის სახელი შეინარჩუნეს მხოლოდ რუსლან კარაევმა (57 კგ), აბდულა მაგომედოვმა (68 კგ). და ლერი ხაბელოვმა (100 კგ). დავით გობეჯიშვილმა (130 კგ) დაიბრუნა ერთი წლის წინ დაკარგული ტიტული.

მოკლედ გაგაცნობთ ჩვენი ტურნირის წლევანდელ ლაურეატებს:

48 კგ. გნელ მეჯლუმიანი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), სსრ კავშირი. 21 წლის. 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში. ორჯორ (1986, 1987 წწ.) იყო საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. თბილისის ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

52 კგ. ვლადიმერ ტუგუზოვი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), სსრ კავშირი. 21 წლის. სსრ კავშირის ორგზის (1986, 1987 წწ) ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, 1987 წ. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, თბილისის ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

57 კგ. რუსლან კარაევი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), სსრ კავშირი. 27 წლის. სსრ კავშირის სამგზის (1985-1987 წწ) ჩემპიონი, ხუთჯერ მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი.

62 კგ. სტეპან სარქისიანი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), სსრ კავშირი. 25 წლის. მსოფლიო თასის ორგზის (1984, 1987 წწ) მფლობელი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი პირველად მოიგო.

68 კგ. აბდულა მაგომედოვი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), სსრ კავშირი. 25 წლის. სსრ კავშირის (1987 წ) და ევროპის (1986 წ) ჩემპიონი, 1987 წ. მსოფლიო თასი მოიგო. თბილისის საერთაშორისო ტურნირის სამგზის ჩემპიონი (1986, 1987, 1988, წწ).

74 კგ. კენი მონდეი. 25 წლის. ამერიკის შეერთებული შტატების 1987 წლის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

82 კგ. ალექსანდრე ტამბოვცევი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი). სსრ კავშირი. 24 წლის. 1985 წ. სსრ კავშირის ჩემპიონი. ამავე წლის მსოფლიო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

90 კგ. შამილ აბდუხმანოვი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი). სსრ კავშირი. 23 წლის. 1987 წლის საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. თბილისის ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

100 კგ. ლერი ხაბელოვი (სპორტის დამსახურებული ოსტატი). საქართველო. 24 წლის. სსრ კავშირის (1985, 1987 წწ), ევროპის (1985, 1987 წწ) და მსოფლიოს (1985, 1987 წწ) ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოთხგზის (1985-1988 წწ) გამარჯვებული.

130 კგ. დავით გობეჯიშვილი (სპორტის დამსახურებული ოსტატი). საქართველო. 25 წლის. სსრ კავშირის ორგზის (1985, 1986 წწ), ევროპის (1985 წ) და მსოფლიოს (1985 წ) ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი. ორჯერ (1986, 1988 წ) იყო თბილისის ტურნირის ჩემპიონი.

სპორტული თებერვალი ერთიანული

რესპუბლიკური და საერთაშორისო [illegible]

1-6. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს ღია პირველობა 1970 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ბათუმი.**

1-9. სამთოხაოთხლამურო სპორტი. საქართველოს თასის გათამაშება. **გუდაური, ბაკურიანი.**

2-5. ფარიკაობა. სსრ კავშირის პირველობა 1968 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის იუნიორთა შორის (რაპირა, ხმალი). **თბილისი.**

2-7. ცურვა. საქართველოს ჩემპიონატი მოზრდილთა, 1970-1974 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

4-8. ციგაობა ბუნებრივ ტრასაზე. სსრ კავშირის თასის გათამაშება. II ტური. **ბაკურიანი.**

6-9. ფარიკაობა. სსრ კავშირის პირველობა 1968 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის იუნიორთა შორის. დაშნა, რაპირა (გოგონები). **თბილისი.**

6-14. საგზატკეცილო ველოსიპედი. საქართველოს ზამთრის ღია პირველობა 1968-1971 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **გუდაური, გაგრა.**

7-10. ძალოსნობა. საქართველოს პირველობა 1972 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. **რუხთავი.**

8-14. ტყვიის სროლა. საქართველოს თასის გათამაშება ოლიმპიურ ვარჯიშებში. **თბილისი.**

10-18. აეროსნობა. საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

11-18. ფარიკაობა. საქართველოს ჩემპიონატი. **ქუთაისი.**

11-19. სამთოხაოხლამურო ხეირტი. საქართველოს ჩემპიონატი. **ბაკურიანი.**

12-15. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1966-1970 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **ბათუმი.**

19-21. აკადემიური ნიჩბოსნობა. საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

19-22. აკრობატიკა. სამატჩო შეხვედრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გუნდებს შორის. **თბილისი.**

20-21. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. საქართველოს ღია ჩემპიონატი. **ბაკურიანი.**

20-26. საგზატკეცილო ველოსიპედი. საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში. **გუდაური, გაგრა.**

20-26. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს ღია პირველობა 1970 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ბათუმი.**

22-28. ჩოგბურთი. საქართველოს ღია პირველობა 1973-1975 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

23-29. კრივი. საქართველოს პირველობა 1972-1973 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხოსუმი.**

24-28. ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე). სსრ კავშირის ჩემპიონატი. **გალი.**

26-28. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1971-1973 წწ. და 1969-1970 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. **თბილისი.**

ერთმანეთს თუ შეგვადარებთ

იმისათვის, რომ თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის საბოლოო შედეგები უკეთ გავიაზროთ, უპრიანი იქნება ორი ბოლო შეჯიბრების მაჩვენებლების შედარება.

1987 წელი, XXVI ტურნირი

	I	II	III
საბჭოთა კავშირი	6	2	—
აშშ	1	4	4
საქართველო	2	—	—
კუბა	1	1	—
ბულგარეთი	—	1	2
მონღოლეთი	—	1	1
გდრ	—	1	1
პოლონეთი	—	—	1
ფინეთი	—	—	1

1988 წელი, XXVII ტურნირი

	I	II	III
საბჭოთა კავშირი	7	3	—
საქართველო	2	3	—
აშშ	1	—	3
ბულგარეთი	—	2	3
მონღოლეთი	—	1	1
ჩეხოსლოვაკია	—	1	—
პოლონეთი	—	—	2
რუმინეთი	—	—	1

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირის ნაკრები, ისევე როგორც საქართველოს გუნდი, წლეულს შარშანდელზე უკეთ გამოვიდა. ეს, პირველ რიგში ოლიმპიური თამაშების მოახლოებით უნდა ავხსნათ.

ერთი ნაბიჯით უკან დაიხია ამერიკელმა მოჭიდავეებმა, მაგრამ ამ ფაქტსაც უთუოდ ექნება გამართლება. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ამერიკელებმა თბილისში საასპარეზოდ, ამჯერად, საუკეთესო შემადგენლობა არ ჩამოიყვანეს.

სეულის ოლიმპიადამდე ჯერ ბევრი დროა დარჩენილი, ფაქტიურად მთელი შვიდი თვე. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები კიდევ რამდენჯერმე შეხვდებიან ერთმანეთს და ნაკრები გუნდების საბოლოო სახე მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთება. ამიტომ ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ტურნირი ოლიმპიური სამზადისის სრული ციკლის ერთ-ერთი პირველი შემოწმება იყო. ამდენად მას დიდ პრეტენზიას ვერც წავუყენებთ.

წლის უმაღლესი მიღწევები

1987 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დამყარდა სამი მსოფლიო რეკორდი, რომელსაც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (ფია) უკეთებს რეგისტრირებას.

ფორტ-სტოქტონში ტეხასის გამოსაცდელი ცენტრის ტრასაზე მრბოლმა აჯი ფოიტმა ავტომობილით „ოლდსმობილ აეროტეკ სტ“ ერთმილიანი დისტანცია (სვლით) გაიარა საათში 430,336 კილომეტრი სიჩქარით (დრო — 13,463 წმ).

კიდევ ორი რეკორდი დამყარდა „დგარსტერის“ ტიპის ავტომანქანებზე: დიკ ლა-ჰეიმ ავტომობილით „მილერ ამერიკენ რეისინგით“ (ძრავის მოცულობა 7891 კბ. სმ) მეოთხედ მილზე (სტარტი ადგილიდან) აჩვენა საათში 444,164 კილომეტრი სიჩქარე (დრო — 5,248 წმ). დონ გარლიცმა ავტომობილით „სუპერ ბოფს სტრემლაინი“ (ძრავის მოცულობა 8079 კბ. სმ) იგივე დისტანციაზე განავითარა საათში 440,556 კილომეტრი სიჩქარე (დრო — 5,291 წმ).

რა თქმა უნდა, ამ ავტომანქანების მარკები არ არის შეტანილი ცნობარებში, რადგანაც მათი სახელები სპონსორი ფირმების დასახელებიდან არის შედგენილი.

„სპორტლოტო“

ბუენოსაიერეს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მეხუთე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრივი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 20 (აეროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4-5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05167